პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 114 (13508) | პარასკევი, 20 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სრულიად საკავშირო ალკა XV ყრილობა

მოსკოვი, 19 მაისი. (საკდესი). მესამე დღეა კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობს სრულიად საკავშირო ალკა XV ყრილობა.

დელეგატები ახლავე სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს.

დღეს ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ბ. ა. სუსლოვი.

დილის სხდომის თავმჯდომარემ უკრაინის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ელჩენკომ სიტყვა მისცა ლატვიის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ლ. ბარტკევიჩს. შემდეგ გამოდიან კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ მწველავი ბ. რუბაკინინა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ლენინური პრემიის ლაურეატი ი. ტერპუგოვი (ნოვოსიბირსკი) და სხვები.

სალამს სრულიად საკავშირო ალკა XV ყრილობა მუშაობას განაგრძობს. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები ბ. ვ. ბრეჟნევი და დ. თ. ულტინოვი.

თავმჯდომარეობს სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ტორსუევი. ყრილობაზე გამოვიდნენ ჩიტის ველოლგიური სამმართველოს საძიებო რაზმის უფროსი ს. ი. მელიანენკო, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, მოლდავეთის ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ლ. ლუბენეცკი, მორნინაიის ინსტიტუტი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბ. ბ. ბუხშტაბი, ალტაიის ტერიტორიის ალკა ტერიტორიული კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. ბეტინოვი, ალკა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ბ. ბეტინოვი, ალკა ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ბ. ბეტინოვი, ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. სუურმესაარი.

სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობენ: ავრეთვე სრულიად საკავშირო ალკა გორკის სალოკომოტივო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ივანოვი და ავგერო-სუჯენსკის (ვენეზუელის ოლქი) № 11 სკოლის მოსწავლე ნ. ლეონოვსკაია.

ყრილობის დელეგატებს, ყველა საბჭოთა ქალაქსა და ტაბუას ძმურად მიესალმნენ სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი ზ. შოკრუშბლიცკი, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლე ფინნმი, იტალიის კომუნისტური ახალგაზრდობის ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ჯანლეტი, არგენტინის კომუნისტური ახალგაზრდობის ფედერაციის გენერალური მდივანი ე. სანტორენი. საზღვარგარეთელმა სტუმრებმა დარბაზის ტაშის გრიალში დროშები და საჩუქრები გადასცეს პრეზიდიუმს.

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა გამოსვლებით დამთავრდა საღამოს სხდომა. 20 მაისს ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

ხუთწლედის პირველი გაზაფხულის შრომითი დღეები

საგულისხმოა სახელოვანი საქმეებით, მასების ფართო ინიციატივით, საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით. ლენინურ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებსაც მთლიანად და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა ადამიანებმა, წარმოშვეს მრავალი პატრიოტული წამოწყება. მზარდ გავლენას ახდენენ ხალხის შემოქმედებითი აქტივობის განვითარებაზე. ახალი სამეურნეო შესაძლებლობანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა აღმოაჩინეს, განსაზღვრავენ შეჯიბრების თავისებურებებს თანამედროვე ეტაპზე: მას ეძლევა სულ უფრო ღრმა ეკონომიური შინაარსი, ნოვატორული თაოსნობის მიზანი ხდება უწინარეს ყოვლისა წარმოების ხარისხობრივი, ეკონომიური შედეგების გაუმჯობესება.

მოსკოვში, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობს დევიზით: „მთელი რეზერვები — ხუთწლედის გეგმას!“, კარგი ინიციატივა გამოიჩინა ქარხანა „დინამოს“ ლენინდ ნიკონოვის ბრიგადამ. მან დასახა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის გადიდების გეგმა და წამოაყენა წინადადება: შემუშავდეს მკაფიო ეკონომიური პროგრამა თვითეული ბრიგადისათვის. „უფრო სწრაფად ავითვისოთ საპროექტო სიმძლავრეები!“ — ყოველთვის ილიჩის სახელობის ქარხნის მეფოლადეთა ამ მოწოდებას, რომელსაც გამოეხმაურნენ დონბასის მეტალურგები, დიდი მნიშვნელობა აქვს: მარტო უკრაინაში ყველა აგრეგატის საპროექტო სიმძლავრეების მიღწევა შესაძლებელს გახდის დამატებითი ხარჯების გაუწევლად მრავალი მილიონი ტონით გადიდდეს ლითონის გამოშვება. გორკის საავტომობილო ქარხანაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მოძრაობას ზეგეგმითი ეკონომიის მიღებისათვის მოპყავ თვითეული მანქანის დამზადებაზე შრომითი და მატერიალური ხარჯების შესამჩნევი შემცირება.

სოფლად მასობრივი შეჯიბრება ჩაედება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით, რათა ხუთწლედის უკვე პირველ წელს უზრუნველყოფილ იქნეს კარგი მოსავალი. ვოლგოგრადის, ბაშკირეთისა და ბელგოროდის მოწინავე მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები და გადაწყვეტეს მოსავლიანობის ზრდის ხარჯზე სახელმწიფოს მიჰყიდონ დიდძალი პური გეგმაშეკვეთის გადამეტებით და აამაღლონ ძირითადი დარგების რენტაბელობის დონე. ყაზახეთის სსრ უზილ-ორდის ოლქში კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ მაგალითისამებრ დაიწყო მოძრაობა სარწყავი მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის.

ხალხის შრომითს საქმეებში დიდი წვლილი შეაქვს ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას. სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა, უსაზღვროდ ერთგული პარტიისა, კომუნიზმის დიადი საქმისა, ენთუზიაზმით შეხვდა ხუთწლედის დავალებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ყრილობისადმი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები დღეს გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის თაოსნებად.

მრავალფეროვანია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინება, და ეს ახალი ძალთან ადასტურებს ვ. ი. ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სოციალიზმი ქმნის წამოწყებითი და მატერიალური ხარჯების შესამჩნევი შემცირება.

ეროვნული ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების მეთოდებს. სოციალისტურ ვალდებულებათა შინაარსსაც. შეჯიბრების ყველა ფორმამაც ხელი უნდა შეუწყოს ხუთწლედის ისეთი ძირეული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, როგორიც არის ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება და შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მომჭირნეობის რეჟიმის განტკიცება და მაღალი რენტაბელობის მიღწევა. მართვის დარგობრივი პრინციპის შემოღებამ ამისათვის უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი შექმნა. სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბეჯითად უნდა შეისწავლონ მოწინავე კოლექტივების გამოცდილება, მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, პროგრესულს ეკონომიურ პრაქტიკაში და მიაღწიონ მის ფართოდ დანერგვას.

შეჯიბრების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მატერიალური და მორალური სტიმულების სწორი შეხამება. ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავენ შრომითი მამაცობის, ნოვატორობის, შემოქმედებითი თაოსნობის ღირსეული ანაზღაურებისათვის. მარტო ამ უკანასკნელ დღეებში მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა მრავალი მოწინავის, საუკეთესო კოლექტივების, მთელი ოლქების შრომითი დამსახურება. გუშინ გამოქვეყნდა შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“.

სწორედ ეს არის პრაქტიკული განსახიერება პარტიის ხაზისა კეთილსინდისიერი შრომის ყოველი ღონისძიებით სტიმულირებისათვის, დიდი ეკონომიური ამოგებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ადგილებზე შეჯიბრების ხელმძღვანელობაშიც ორგანიულად იყოს შეხამებული მორალური და მატერიალური წახალისება. უნდა სრულყოფილ პრემირებისა და დამატებითი ანაზღაურების, წოთელი დროშების, სპატიო წოდებების, სიგელების მინიჭების სისტემა და სხვ.

საქმის წარმატებისათვის საჭიროა აგრეთვე ფართო საჯაროობა, რა თქმა უნდა, საქმე როდი ეხება პარადულობასა და ხმაურს, რომლებიც, სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი. შეჯიბრების საჯაროობა ლენინური გაგებით არის მოწინავე კოლექტივების წარმატების მიზეზების, მათი სამეურნეო მუშაობის ხერხების შესწავლა, რათა საქმიანი შედეგების შედარება გახდეს საერთო ინტერესისა და შესწავლის საგანი. ვლადიმერ ილიას-ძე წერდა ამის შესახებ, როცა ახასიათებდა პრესის ამოცანებს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. დღეს ჩვენი პრესა, რადიო, ტელევიზია კიდევ უფრო მეტად უნდა იყოს საყოველთაო-სახალხო სამეურნეო პრაქტიკის ნამდვილი ტრიბუნა, გზას უწმენდადგდეს ახალს, დიდების ფარზე აპყავდეს ხუთწლედის გმირები.

სკკპ XXIII ყრილობამ მოიწოდა საბჭოთა ადამიანებს აღინიშნონ სახელოვანი თარიღები — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი შეჯიბრების. კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ფართოდ გაჩაღებით, ახალი მიღწევებით კომუნიზმის მშენებლობაში. ყრილობის შემდეგ ერთ თვეზე ცოტა მეტი გავიდა, მაგრამ ხუთწლედის საყოველთაო-სახალხო ვახტს უკვე მოაქვს შესანიშნავი შედეგები. ხვალ ეს შედეგები უფრო საგრძნობი, უფრო მნიშვნელოვანი იქნება. დე ახალ ძალებს იკრებდეს მასების მძლავრი რევოლუციური შემოქმედება — სოციალისტური შეჯიბრება!

• წინასაარჩევნო დღეები •

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში თბილისის პირველი მაისის რაიონის 86/21 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში.

ახლა აქ აგიტატორები და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები საბოლოოდ აზუსტებენ ამომრჩეველთა სიებს, მართავენ საუბრებს საბჭოთა საარჩევნო კანონზე და სხვ. აგიტპუნქტში ამომრჩეველებისათვის მუდამ არის ახალი ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე საარჩევნო ლიტერატურა.

ამას წინათ აქ გამოუშვეს კედლის გაზეთი „აგიტატორის ხმა“, რომელშიც მოთავსებულია ახალგაზრდა ამომრჩეველთა წერილები და სხვა საინტერესო მასალები.

სურათზე: (მარცხნიდან) აგიტატორი ა. ერაგია, აგიტპუნქტის გამგე ჯ. სარალიძე და აგიტატორი თ. ჩაგანავა ამზადებენ კედლის გაზეთის ახალ ნომერს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მდგომარეობისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ნათქვამია დადგენილებაში, შიანნია, რომ სოციალისტური სამშობლოს დაცვა, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა. სკკპ XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმპერიალიზმის მხარი ეჭიროს ომრობებში საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო უზრუველყოფა მოითხოვს პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან გაძლიერეს ყურადღება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საკითხებისადმი, აამაღლონ ყველა საბჭოთა ადამიანის სიფხიზლე, აღზარდონ ისინი თავიანთი სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით. ამ საქმეში დიდნაშვილოვანი როლი ეკუთვნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის. ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას.

ამ ბოლო წლებში არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებმა გააკეთეს უფრეს მუშაობა. მაგრამ თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის დონე, რომელსაც საზოგადოება ეწევა, ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ბევრი ორგანიზაცია სუსტად მოწიფლებს მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაა და სამხედრო-ტექნიკურ ცოდნის გავრცელებაში. ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმული არ არის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციათა აქტიურ ცხოვრებაში; სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტს ნაკლებად მისდევენ საზოგადოების წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მთავარი ამოცანა ქვეყანაც ის უნდა იყოს, რომ აქტიურად მეუფლოს. ხელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ამ მიზანთან სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: ახალგაზრდობასთან მუშაობას, მის მომზადებას საბჭოთა სამსახურისათვის, ქალიშვილებსა და ჯგუფებს ფართო ჩაბმას სამხედრო საქმის, სიფხიზლეებისა შესწავლაში და სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტში.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაძლიერებისა და მოსახლეობაში თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის დონის, ამაღლების ამოცანები, მოითხოვენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციათა ძმიერი ურთიერთმოქმედებას. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაეკალა უზრუნველყოს ყველა კომკავშირული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობა თავდაცვითი საზოგადოების მუშაობაში, ხოლო პროფკავშირის ორგანოებს რჩეულ მიეცეთ ფართო მეტად დაეხმარონ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებას.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტებსა ფიფდადება მიეცეთ ოღმოფხერან ნაკლოვანებანი საზოგადოების მუშაობაში, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუველყოფენ მოსახლეობაში თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის დონის მკვეთრ აღმავლობას. გაიმეჯობესონ პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. მიიწევნონ იმას, რომ პირველადი ორგანიზაციები თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის ნამდვილი ცენტრები გახდნენ. დიდმნიშვნელოვანი პირობა ის ამამცანთა წარმატებით შესრულებისა, რომლებიც საზოგადოებას, როგორც მშრომელთა მასობრივი თვითმოქმედების სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციის წინაშეა დასახული, უნდა გახდეს საზოგადოებრივი საქმიანობა. შედგომ დანერგვა მთელ მის საქმიანობაში, დადგენილების შესაბამისად განხორციელდება ეფექტი ორგან დონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩვენს ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტის შემდგომი განვითარება, და ამ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მათ შორის სასპორტო-ტექნიკური კლუბებისა და სასპორტო ნაგებობათა ქსელის გაფართოება. ზოგადსავალდებულო სოლფაცა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სამხედრო-ტექნიკური მომზადების კლასების, სამოდელო ლაბორატორიების მოწყობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააუმჯობესონ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებ-ზედამხედველობა, უფრო მეტად იზრუნონ იმისათვის, რომ განამტკიცონ ისინი მომზადებული კადრებით. ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, სამეურნეო-მეურნეობანი ვალდებულნი არიან მეტი ყურადღებით მოეკიდონ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციათა აქტიურ ცხოვრებაზე; სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტ ნაკლებად მისდევენ საზოგადოების წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. ამ ამოცანებზე, ამ ამოცანებზე, ამ ამოცანებზე,

მეექვსე წყნარი ოკეანის სანაპიროზე

(დასასრული)

ახალი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ნიშანი ის არის, რომ იგი ერთდროულად ითვალისწინებს წარმოების მნიშვნელოვან აღმავლობას ყველა სფეროში და ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის არსებით ამაღლებას.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ თქვენი მხარის განვითარებისა და აყვავებისათვის. კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მძლავრი რესურსების ფართოდ გამოყენება სამატეო და დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტით დაინტერესებულია და რომლის გადაწყვეტაში მონაწილეობს მთელი ჩვენი ქვეყანა.

ამ ყველასათვის საზეიმო დღეს, განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მხარის მიღწევებში დიდი დამსახურება მიუძღვის მის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ღირსეულად განაგრძობს და ამრავლებს ზღვისპირელ კომუნისტთა რევოლუციურ ტრადიციებს. ამხანაგებო, თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ, მაგრამ მომავალში ამაზე ნაკლები როდი მოგელით, მომავალში შეუპოვრად უნდა იმუშაოთ ჩვენი ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ დიდ საქმეთა განხორციელებისათვის.

უკვე ახალი ხუთწლედის მეხუთე თვეა, ყველა მონაცემი უფლებას გვაძლევს კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ მოლიანად გეგმის დავალებანი წარმატებით სრულდება. და რაც მთავარია, ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა და პოლიტიკური აღმავლობაა, იზრდება ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ზღვისპირელ კომუნისტთა 85-ათასიანი რაზმი, გააერთიანებს რა მხარის ყველა მშრომელთა მეცადინეობას, ღირსეულად შეასრულებს ახალ დიდ ამოცანებს, და ზღვისპირეთის ყველა საწარმო, ყველა კოლმეურნეობა და სამეურნეო ვადამდე შეასრულებს ახალი ხუთწლედის დავალებებს.

ლ. ი. ბრეჟნევი კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ზღვისპირეთის მხარის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევმა ლენინის ორდენი მიანიჭა ზღვისპირეთის მხარის დროშაზე.

ასრულებენ საბჭოთა კავშირის ჰიმნს, გაისმის საარტილერიო სალუტის ზალპი. ნავსადგურში მდგომი ხომალდები იძლევიან მისასალმებელ საყვირებს.

სიტყვის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ გულითადად მიულოცა ყველას სამატეო ჯილდო და წარმატებები, ბედნიერება და აყვავება უსურვა ზღვისპირეთის მხარეს, ყველა ზღვისპირელს.

ამხ. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. არაერთგზის გაისმოდა ტაშის გრიალი და შეძახილები „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“ „დიდება სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სკკპ სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ე. ჩერნიშევმა.

— ჩვენი მხარის ლენინის ორდენით დაჯილდოება ყველა ზღვისპირელის დიდი და სასიხარულო დღესასწაულია, — თქვა მან. — ზღვისპირელები ყოველთვის გრძნობენ, რომ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა დიდად ზრუნავენ შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის. ლენინის ორდენით დაჯილდოება ჩვენი მებადურებისა და მეზღვაურების, მშენებლებისა და ხე-ტყის დამამზადებლების, მაღარდელებისა და გეოლოგების, სოფლის მშრომელებისა და ინტელიგენციის, ჩვენი ქალების, ქალიშვილების, ჭაბუკების, მხარის ყველა მშრომელთა შრომის მაღალი შეფასებაა.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს შორეული აღმოსავლეთის ქარხნის ოსტატმა ი. გ. პოსკრიაკოვმა, კოლმეურნეობა „კომუნარის“ თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა ვ. კ. კრამარევმა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ოლგა ილარიონოვამ.

ზღვისპირელებს სამატეო ჯილდო მხურვალედ მიულოცეს მეზობელი მხარეებისა და ოლქების დელეგაციათა ხელმძღვანელებმა: სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. პ. შიტიკოვმა, სკკპ სახალინის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ა. ლეონოვმა, სკკპ მაგადანის საოლქო კომიტეტის მდივანმა ს. ა. შაიდეროვმა, სკკპ ამურის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ს. ავრამენკომ და სკკპ კამჩატკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ა. ორლოვმა, წითელდროშოვანი წყნარი ოკეანის ფლოტის ადმირალმა ნ. ნ. ამელკომ და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ი. ვ. პავლოვსკიმ.

დამსწრეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წინადადება, რომ მისასალმებელი წერილი გაეგზავნოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

* * *

სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტულ-მხატვრული წარმოდგენა.

სამუშაო დღის დამთავრებს შემდეგ ვლადივოსტოკის პარკებსა და სკვერებში კვლავ აყვავდა მუსიკა. დაიწყო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლა. საღამოს ქალაქი ილუმინაციით გაჩახჩახდა.

ერთიანი კომუნიკე

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოლაპარაკების შესახებ

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მიწვევით საბჭოთა კავშირის თავთავრობის დელეგაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით 1966 წლის 10-დან 18 მაისამდე ოფიციალური ვიზიტით იყო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი უაღრესად გულთბილად შეხვდნენ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხის ცხოვრებასა და მიღწევებს.

ვიზიტის დროს პრეზიდენტ გ. ა. ნასერსა და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის შეთაურს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინს შორის გაიმართა მოლაპარაკება.

ამ მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო ვითარების ერთობლივ საკითხებზე. მათ განიხილეს აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მის განმტკიცებასა და გაღრმავებასთან. მოლაპარაკება გამსჭვალული იყო მეგობრობისა და ურთიერთნდობის ტრადიციული სულისკვეთებით. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ერთი აზრისა არიან თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საერთაშორისო პოლიტიკაში კვლავაც ისედმძღვანელონ ისეთი მიზნებით, როგორიც არის მშვიდობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარება მშვიდობიანი თანაარსებობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, როგორც მეუმხრობელი სახელმწიფოს პოლიტიკას და მის თვალსაჩინო დადებით როლს არაბეთის, აფრიკისა და სხვა მეუმხრობელ სახელმწიფოთა ბრძოლაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ დიდი მადლობა გადაუხადა სსრ კავშირს იმ პოზიციურ ღონისძიებათა გამო, რომლებსაც იგი ახორციელებს მშვიდობის საქმისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და იმისათვის, რომ გულწრფელი და კონსტრუქციული დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყნებს.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს გამწვავდა საერთაშორისო ვითარება და გაიზარდა ომის საფრთხე იმპერიალისტური ძალების აგრესიული მოქმედების შედეგად, რომლებიც ერეკვიან სხვა ქვეყნებისა და ხალხების საშინაო საქმეებში. მხარეები აღნიშნავენ, რომ ძალის გამოყენება კოლონიალიზმის ტიპიური მეთოდია, რომელიც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა უარყო. ისინი აღნიშნავენ, რომ სერიოზული მოვლენები, რომლებიც მსოფლიოში ამ ბოლო დროს მოხდა, კიდევ ერთხელ დასტურებენ, რომ სპეციალური პოლიტიკის აღკვეთა. ამასთან დაკავშირებით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობამ კმაყოფილება გამოთქვა იმ ინიციატივის გამო, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიაზე, როცა წინადადება შეიტანა მიეღოთ „დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის შეუწყნარებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“. მხარეები მოუწოდებენ სრული პატივით მოეკიდონ და დაიცვან ეს დიდმნიშვნელოვანი დეკლარაცია, ორმელიც ერთსულოვნად მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ.

ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარება ცხადყოფს, თუ რაოდენ საჭიროა თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების თანამშრომლობის განმტკიცება იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ხალხთა მიერ მოპოვებული დიადი გამარჯვებანი და მხარი დაუჭირონ მათს შემდგომ ბრძოლას იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ძალების წინააღმდეგ.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ამ ქვეყნების განვითარების შესაბამისი დონისა და მათი ეკონომიური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის საჭიროა საერთაშორისო პლანის გადამწყვეტი ღონისძიებანი ამ ქვეყნების მხარდასაჭერად. ასეთი ღონისძიებანი განვითარებად ქვეყნებს გაუადვილებს მთლიანობის დაცვას, საშუალებას მისცემს გაძლიერონ წინააღმდეგობა მათს სამნიადაგ საქმეებში ჩარევისა და მათი სუვერენიტეტის შებღალვა ცდუნისადმი. ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

ორივე მხარემ დიდი შეშფოთებით განიხილა ვიეტნამის საშინაო მდგომარეობა, რომელიც ეკიმენილი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის შედეგად. მხარეები სავსებით უჭერენ მხარს ვიეტნამელი ხალხის ხელშეუვალ უფლებას თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი, აგრეთვე მის მოთხოვნას — გაიყვანონ უცხოეთის ჯარები, რომლებიც ერეკვიან ვიეტნამის საშინაო საქმეებში. მხარეები მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს საპაერო თავდასხმები და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. ისინი აღასტურებენ თავიანთ პოზიციას, რომ სავსებით პატივი სცენ და განახორციელონ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი, ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებანი და იმედები.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ ვიეტნამში მშვიდობის აღდგენა ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვას.

ორივე მხარემ განიხილა აფრიკაში შექმნილი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ კოლონიზატორები ცდილობენ აფრიკის კონტინენტზე შექმნან დაძაბულობის ატმოსფერო, ცდილობენ ჩაერიონ ხალხთა საშინაო საქმეებში, აძლიერებენ ძირგამთხრელ საქმიანობას, ცდილობენ თავს მოიხვიონ მათ თავიანთი ბატონობა. ამ პირობებში საჭიროა აფრიკის ხალხთა ერთობის განმტკიცება, აფრიკის ქვეყნების მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირება და მათი უფრო მჭიდრო თანამშრომლობა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა სახელმწიფოებთან.

ორივე მხარემ დაგმო სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ როდეზიასა და პორტუგალიის კოლონიებში უცხოეთის კოლონიურ სახელმწიფოთა რასისტული რეაქციული კავშირი.

ორივე მხარე სავსებით უჭერს მხარს აფრიკის მამაც ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმისა და უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ ანგოლაში, მოზამბიკსა და ეგრეთ წოდებულ პორტუგალიის გვინეაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ორივე მხარემ დაგმო იმპერიალიზმის პოლიტიკა, რომელიც მუდმივი დაძაბულობის წყაროა ახლო და შუა აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს არაბი ხალხის ბრძოლას იმპერიალისტური ძალების ამ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ააოროძინონ სამხედრო-კოლონიური ბლოკები არაბეთ აღმოსავლეთში, დაესაქმონ კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. საბჭოთა მხრე სავსებით უჭერს მხარს პალესტინელ არაბთა კანონიერ და ხელშეუვალ უფლებებს. იგი მხარს უჭერს არაბთა სახელმწიფოების ბრძოლასა და ღონისძიებებს იმპერიალისტური ძალების აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ პალესტინის პრობლემა ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გასაძლიერებლად.

მხარეებმა განიხილეს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობა. ისინი გმობენ ჩაბმობის პოლიტიკას, რასაც კოლონიური სახელმწიფო ახორციელებს ადენსა და არაბეთის ნახევარკუნძულის არაბულ სამხრეთში.

ორივე მხარე დასტურებს, რომ მხარს უჭერს ომანის ხალხს კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დარწმუნებული არიან, რომ მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ მოისპოს უცხოეთის სამხედრო ბაზები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ. იმპერიალისტური სახელმწიფოები ამ ბაზებს იყენებენ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე ზეგავლენისა და მათს საშინაო საქმეებში პირდაპირი შეიარაღებული ჩარევის საშუალებად.

ორივე მხარემ განიხილა ევროპის მდგომარეობა. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპის უშიშროების განმტკიცების ამოცანას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი კარდინალური ამოცანაა. გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგება.

საბჭოთა კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ითვალისწინებენ იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას მოჰყვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მეელი ძალონე იხმაროს გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების მისაღწევად.

მხარეებმა იმსჯელეს განიარაღების პრობლემებზე. მათი აზრით, საჭიროა დაიდოს ხელშეკრულება ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XX სესიამ. მათ მიაჩნიათ, რომ ამ შეთანხმებამ უნდა გამორიცხოს ატომური იარაღის გავრცელება, იქნება ეს ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოების მიერ ამ იარაღის იმ სახელმწიფოებისათვის უშუალოდ გადაცემის გზით, რომლებსაც ატომური იარაღი არა აქვთ, თუ სამხედრო ბლოკებისა და დაჯგუფებების საშუალებით ან რაიმე სხვა გზით.

ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უატომო ზონების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას.

ორივე მხარე ერთი აზრისაა, რომ საჭიროა ღონისძიებანი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების შემდგომი განვითარებისათვის, იმ მიზნით, რომ აიკრძალოს მიწისქვეშა ატომური გამოცდები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნეს, რომ უაღრესად საჭიროა მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია განიარაღების საკითხზე და ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ.

ორივე მხარემ კვლავ დაადასტურა თავისი რწმენა, რომ საჭიროა განმტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საქმეში. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და განახორციელოს ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე და აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას საჭიროდ მიაჩნიათ განვითარდეს საერთაშორისო ვაჭრობა ყველა სახელმწიფოს შორის თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე უდისკრიმინაციოდ.

მოლაპარაკების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა განიხილეს სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გამმტკიცების საკითხები.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხარემ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას ყოველმხრივი ეკონომიური და ტექნიკური დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას.

საბჭოთა მხარე პატივისცემით აღნიშნავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხის დიდ მიღწევებს ეკონომიური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის დარგში.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ კარგად მიმდინარეობს ასუანის კაშხალის — გრანდიოზული ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობის ერთობლივი სამუშაოები, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიკისათვის.

მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ დიდი მადლობა უძღვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობასა და პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს მეგობრული და გულითადი მასპინძლობისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეგობრული ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ორივე მხარის აზრით, დიდი წვლილია საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საბჭოთა კავშირში მიიწვიეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ა. ნასერი, აგრეთვე რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი მარშალი ა. ჰ. ამერი და რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრი ზაქარია მოჰი ედდინი. ამ მიწვევას ისინი დასთანხმდნენ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის

1966 წლის 25 მარტის ნოტაზე

25 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მთავრობას, ისევე როგორც ბევრი სხვა სახელმწიფოს მთავრობებს, გაუგზავნა ნოტა, რომელშიც გამოთქვამს თავის მოსაზრებებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის ზოგად საკითხებზე, აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე.

17 მაისს საბჭოთა მთავრობამ საპასუხო ნოტა გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას.

ფედერალური მთავრობა, ნათქვამია ამ ნოტაში, აცხადებს, რომ არ ახორციელებს არც რევანშისტულ, არც სარესტავრაციო პოლიტიკას. იგი იყურება წინ და არა უკან. საკითხავია: ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფედერალური მთავრობა უარს ამბობს პოლიტიკაზე, რომელსაც იგი ახორციელებდა და რომელიც შეუთავსებელია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებთან?

ცნობილია, რომ ევროპის არც ერთი ქვეყანა არ უყენებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ტერიტორიულ პრეტენზიებს, არ ხელყოფს მის საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებას.

მიუხედავად ამისა, ფედერალურმა მთავრობამ თავისი საქმიანობის ცენტრში აშკარად დააყენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარიზაცია, დიდი სამხედრო მანქანის შექმნა. მან მიაღწია იმას, რომ დასავლეთ გერმანია გახდა ნატოს აგრესიული სამხედრო ორგანიზაციის წევრი; ფედერალურმა მთავრობამ დაარღვია ვალდებულებანი, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეკისრება პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად და შექმნა ნახევარმილიონიანი არმია (ბუნდესვერი). თავისი პოლიტიკა მან მჭიდროდ დაუკავშირა არაევროპული სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომლისთვისაც უცხოა ევროპის ინტერესები და რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ დაძაბულობა იყოს ევროპაში, რათა რაც შეიძლება მეტი ხნით უზრუნველყოს ამერიკის ჯარების ყოფნა ევროპის კონტინენტზე.

სამხედრო ხარჯების ოდენობით გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მეორე ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. ნატოს მონაწილეთა შორის. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აქტიურად მოქმედებს აშკარად ნაცისტური, მილიტარისტული და რევანშისტული ყაიდის ასობით კავშირი, ორგანიზაცია და გაერთიანება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებლებს ბავშვობიდანვე წამლავენ მილიტარისტული და რევანშისტული იდეების შხამით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორ უნდა გვესმოდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნოტა?

ამ ნოტაშიც კი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას სურს წარმოვიდგინოთ როგორც რაღაც „მშვიდობიანი ინიციატივა“, მან საჭიროდ ჩათვალა წამოიყენებინა თეზისი ევროპის საზღვრების გადასინჯვის შესახებ და იმის შესახებ, თითქოს „გერმანია კვლავ ვარსებობს 1937 წლის 31 დეკემბრის საზღვრებში“. ამით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მთელი თავისი პოლიტიკის საიდუმლოება განაცა. უწინარეს ყოვლისა სწორედ 1937 წლის ჰიტლერული რაიხის აღდგენისათვის ახორციელებს დასავლეთ გერმანიის მთავრობა მილიტარიზაციის პოლიტიკას.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ნათქვამია შემდეგ სსრ კავშირის მთავრობის ნოტაში, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეზობლები, ის ქვეყნები, რომლებმაც გამოსცადეს გერმანიის რაიხის ვერაგობა, არ აკვირდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეალურ სინამდვილეს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბოლოდ ერთ-ერთ მხრილ ფიქრობს, რომ ეს ასეთ ინიციატივებს ადვილად ეყოლებიან.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

(გაგრძელება)

ბოიახჩიანი არმენაკ ოჰანესის-ძე — თბილგვირაბმშენის სამუშაოთა მწარმოებელი.

ბრაჭული ავთანდილ გრიგოლის-ძე — კავშირგაბმულობის დეპეშის რაიონული კვანძის უფროსი.

ბრეგვაძე ამბროსი თევდორეს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უნის უფროსი.

ბრეგვაძე ლუკა იაკობის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსი.

ბრეგვაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე — ჭიათურის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ბრეგვაძე ნოე დავითის-ძე — სოფელ მუხურის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ქ. ტყიბული.

ბრიანსკაია ლუბოვ დავითის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ბუაძე რუსუდან გრიგოლის ასული — წულუკიძის რაიონის სოფელ გუბეი კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

ბუაზვილი იასონ ილიას-ძე — გორის რაიონიუ სოფელ ატენის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბუაზვილი თამარ ილიას ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვრის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბუბუნაური ოსეფ თომას-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემოქედის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

ბუბუნაშვილი ვასილ ივანეს-ძე — ყვარლის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბუჯიაშვილი ივანე იოსების-ძე — კავშირგაბმულობის თბილისის 24-ე სალარო განყოფილების უფროსი.

ბუზალაძე ანეტა კონსტანტინეს ასული — სქართველოს კპ დუშეთის რაიკომის სექტორის გამგე.

ბუკია ჯორჯ ლევანის-ძე — ხობის რაიონის ქვალონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ბუკია ნათელა აკაკის ასული — ხობის რაიონის ხეთის ვეტერინარული პუნქტის გამგე.

ბურჯალიანი ჯუმბერ ნიკანდროს-ძე — ქუთაისის ხორცკომბინატის ბრიგადირი.

ბურჯანაძე გულნარა ნიკოლოზის ასული — სარამუსუნის „საირმის“ ქარხანა „საირმის“ შუშა.

ბურჯანაძე ნაგული უშანგის ასული — თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ტბილისმარაგი.

ბურჯანაძე თამარ ვასილის ასული — ჭიათურის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ბურძგლა გიორგი არისტარხეს-ძე — ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატი.

ბურდიანაშვილი რობინზონ ლევანის-ძე — ყვარლის რაიონის თრჯოლიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბურდული გიქტორ ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

ბურდული გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ზონალური მანქანათგამოსაცდელი ლაბორატორიის გამგე.

ბურნაძე გიორგი სიმონის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის კავშირის“ ბრიგადირი.

ბურნაძე ოლღა იოსების ასული — გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბურნაძე თომა ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის მეორე მდივანი.

ბური ალგორ ივანეს-ძე — საბჭოთა არმიის ჯარისკაცი.

ბურჩულაძე შალვა ალექსიეს-ძე — მახარაძის რაიონის ჯიშთაგამოცდილი სახელმწიფო ნაკვეთის გამგე.

ბუთხუზი არჩილ ისაკის-ძე — წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

ბუხნიკაშვილი ოთარ დიანოზის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი.

ბუხაროვი იულია ივანეს ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბუხრაძე მიხეილ ალექსეს-ძე — გორის რაიონის სოფელ ძევერის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბუხრაშვილი ლევან თევდორეს-ძე — შრომის ნორმირების რესპუბლიკური სადგურის დირექტორი.

ბუცაშვილი ბეჟან დიმიტრის-ძე — სიღნაღის რაიონის ქ. წნორის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ბუნუკური ალექსანდრე ივანეს-ძე — დუშეთის რაიონის სოფელ ლიფანანთკარის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბუნუკური ალექსანდრე თევდორეს-ძე — „სამტრესტის“ საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე.

ბუნუკური რუსუდან დავითის ასული — წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი აგრონომი.

ბაბადაძე თამარ ილიას ასული — სოფელ გურნის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ქ. ტყიბული.

ბაბაშვილი ვალერიან ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ბაბაშვილი ოსეფ ილიას-ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

ბაბელი სვეტლანა ნიკოლოზის ასული — ცხაკაიის რაიონის უმაღალეს საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ბაბერავა ნოკოშა ბარდღუს ასული — ცხაკაიის რაიონის ხორშის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი.

ბაბისონია დავით ერასტის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მემანქანე.

ბაბისონია მელიტონ ბესარიონის-ძე — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ბაბიჩავაძე რევაზ კონდრატეს-ძე — კომპოზიტორი.

ბაბრიეიძე იოსებ სიმონის-ძე — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ მმართველის მოადგილე.

ბაბუნია ვლადიმერ ვლადიმერის-ძე — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის დირექტორის თანაშემწე.

ბაბუნია ლეონიდე კალისტრატეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ბაბუნია გრიგოლ სიმონის-ძე — თბილისის ტელეფონის აპარატების ქარხნის დირექტორი.

ბაბუჩია ალექსანდრე უშანგის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს უფროსი.

ბაგაშვილიშვილი ანგი ალექსის-ძე — სახელმწიფო ზონალური მანქანათგამოსაცდელი სადგურის ლაბორატორიის გამგე.

ბაგიანი შალვა გრიგოლის-ძე — — ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რადიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი.

ბაგეევა ვერა დიანოზის ასული — ლაგოდეხის რაიონის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაგეევა სოხია ნიკოლოზის ასული — ლაგოდეხის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაგინიძე ზინაიდა მიხეილის ასული — მახარაძის რაიონის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაგნიძე ნატო ალექსანდრეს ასული — ლენტეხის რაიონის სოფელ მელეს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბადაევა მედეა ილიას ასული — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ალექსეევკის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაზაშვილი შალვა სიმონის-ძე — გორის რაიონის სოფელ ატენის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაზაშვილი ოთია სერგის-ძე — გორის რაიონის სოფელ ნიქოზის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაზაშვილი იასონ ილიას-ძე — გორის რაიონიუ სოფელ ატენის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაიკარაშვილი ილია ვარდოს-ძე — ყვარლის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბალიმოვიჩი ვლადიმერ იაგორის-ძე — თბილისის № 3 სამგზავრო აეროსატრანსპორტო კანტორის ხარატი.

ბალანი ალექსი ბესიკის ასული — ახალქალაქის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბალანი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბორჯომის რაიონის სოფელ ციხისჯვრის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბალანი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბორჯომის № 3 სამგზავრო აეროსატრანსპორტო კანტორის ხარატი.

ბალანი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბორჯომის № 7 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ბალანი ნარიმან ლევანის-ძე — სიღნაღის რაიონის მაჩხანის ზოოვეტტექნიკუმის დირექტორი.

ბალიანი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბორჯომის № 7 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ბალიანი ნარიმან ლევანის-ძე — სიღნაღის რაიონის მაჩხანის ზოოვეტტექნიკუმის დირექტორი.

ბალიანი სერგი სერგის-ძე — ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებელი ქარხნის საქარხნო პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე.

ბალიანი ტატიანა ნიკოლოზის ასული — საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

ბალდანიშვილი გიორგი გიორგის-ძე — ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ ენგურჰესის გვირაბმშენის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ბალეიშვილი მარიამ ქრისტეფორეს ასული — სამტრედიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბალენიძე გუგული ალექსანდრეს ასული — წულუკიძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბარჩენილაძე ტერენტი ერასტის-ძე — ახალციხის რაიონის სოფელ სვირის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბარჩენილაძე ფილიმონ ფილიმონის-ძე — კომბინატ „საქქვანახშირის“ უფროსის მოადგილე.

ბავშვა შალვა დარისპანის-ძე — თბილგვირაბმშენის № 5 საგვირაბო რაზმის უფროსის მოადგილე.

ბაკაურაძე ეთერ დიმიტრის ასული — თბილისის № 4 სამშობიაროო სახლის მთავარი ექიმი.

ბარამიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე — თბილისის № 17 სატვირთო აეროსატრანსპორტო კანტორის შოფერი.

ბარამაძე გივი პაველეს-ძე — თბილისის რძის კომბინატის გამწყობი მარეგულირებელი.

ბარამაძე ნიკოლოზ ვასილის-ძე — გარდაბნის რაიონის კრწანისის სასწავლო მეურნეობის ბრიგადირი.

ბარამაძე შალვა ონისიმეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგის მოადგილე.

ბარამია პაველ ვარდენის-ძე — წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ბარაბაშვილი აკაკი ილიას-ძე — ქარხანა „მიკროფარავი“ დირექტორი.

ბარახლია მიხეილ ანტონის-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

ბარახლია ოთარ დიმიტრის-ძე — ტრაულერი „ზოთა რუსთაველის“ ოსტატი-გამწყობი.

ბარელიანი გრიგოლ ელეფთერის-ძე — თბილგვირაბმშენის № 5 საგვირაბო რაზმის ზეინკალი-მემონტაჟე.

ბარელიანი ქეთევან გალაქტიონის ასული — ზესტაფონის რაიონის ძირულის ცეცხლგამძლე პროდუქციის ქარხნის დირექტორი.

ბარელიანი ლევან ვარლამის-ძე — სქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის განყოფილების გამგე.

ბარელიანი ტერენტი ყაფლანის-ძე — მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორის მოადგილე.

ბარენცაძე ალექსანდრე ერასტის-ძე — თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

ბარენცაძე კარლო ვლადიმერის-ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ხარატი.

ბარეტაძე იაკობ სევასტის-ძე — ტრესტ „ტყიბულელექანაშირის“ ორჯონიკიძის სახელობის შახტის გამყვანი.

ბარილა მიხეილ ოსიბის-ძე — გეგეჭკორის რაიონის კუბისწევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმერი.

ბარიშევი ვლადიმერ ეგნატეს-ძე — თბილისის № 1 აფთიაქის მმართველი.

ბარმაძე გიორგი დავითის-ძე — ბორჯომის რაიონის სოფელ კარბის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბარმაძე ოთარ ეფსტატეს-ძე — ბორჯომის რაიონის სოფელ ბოდგომის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბარნოვი ქამილ ზიგანდარის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 მექანიზაციის სამმართველოს ზეინკალი.

ბარუჩავა ვალერიან სილიბისტროს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბარუჩავა ივლიანე ანტონის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ბახვიანი ბორის ილარიონის-ძე — „საქმთავარენერგოს“ სარეღეო დაცვისა და სისტემური ავტომატიკის ცენტრალური სამსახურის უფროსი.

ბახიევი როსტომ ყაზარის-ძე — ახმეტის რაიონის სოფელ დუმასტურის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბასპარიანი ალეკო არტაშეს-ძე — ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკვის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბატაშვილი ვლადიმერ ზაქარიას-ძე — თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

ბახოკაძე ლიანა ბათლომეს ასული — თბილისის სპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერიის“ მთავარი პარფიუმერი.

ბახარია შაქრო რაჟდენის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბაჩიჩილაძე ვახტანგ მაქსიმეს-ძე — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ბაჩიჩილაძე გიორგი ივანეს-ძე — თბილისის საკადრაკო კლუბის მთავარი მწვრთნელი.

ბაჩიჩილაძე თეიმურაზ რაჟდენის-ძე

დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ № 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113.

ბოლოდიანი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბორჯომის რაიონის ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტის ექიმ-ფიზიკოსი.

ბოლოდიანი ალექსანდრე ალექსის-ძე — ბორჯომის № 7 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ᲘᲙᲐᲨᲙᲐᲨᲔᲗ, ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ!

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲤᲝᲢᲝ Შ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲜᲝᲠᲩ ᲚᲔᲜᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲓᲘᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲰᲭᲝᲜᲓᲐᲗ — 19 ᲛᲐᲘᲡᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲨᲔᲣᲖᲓᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲖᲘᲛᲔ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲣᲜᲔᲑᲡ, ᲒᲐᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲧᲕᲘᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ, ᲬᲔᲥᲓᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲨᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

3- Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ 1964-1967 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 19 ᲛᲐᲘᲡᲘ — ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ — ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ „ᲘᲙᲐᲨᲙᲐᲨᲔᲗ, ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ!“ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲗ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲖᲔ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲘᲐᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘ, ᲛᲝᲛᲓᲘᲐᲜ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲓᲔᲙᲚᲐᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ. ᲛᲝᲪᲣᲙᲕᲐᲕᲔᲑᲘ, ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ... ᲠᲐ ᲤᲔᲠᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲐ, ᲠᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲔᲜᲐᲮᲐᲗ Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲖᲔ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ!

ᲓᲦᲔᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲐ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ. ᲣᲞᲐᲢᲐᲯᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲯᲠᲔᲑᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ. ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲯᲕᲗ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ. ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲘᲧᲝ Ლ. ᲙᲘᲚᲐᲡᲮᲜᲘᲐ ᲞᲐᲢᲐᲯᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮ. Ნ. ᲧᲕᲐᲜᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲜᲝᲠᲩᲘᲡ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲪᲐ ᲓᲦᲔᲡᲚᲔᲡᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲣᲡᲣᲠᲕᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ.

ᲒᲣᲚᲬᲧᲠᲕᲔᲚᲘ, ᲛᲒᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲐ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲔᲚᲘᲡᲚᲐᲛᲐ ᲣᲜᲔᲑᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲐ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲔᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲡᲐᲖᲘᲣᲛᲝᲓ ᲓᲐᲓᲔᲡ ᲤᲘᲪᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡᲐ...

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲐᲛᲮ. Ვ. ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔᲛ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲛᲗᲔᲡ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲝᲛᲧᲝᲑᲠᲘ ᲜᲘᲜᲐ ᲯᲘᲠᲙᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲓᲔᲞᲔᲨᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲛᲗᲔᲡ ᲐᲚᲘᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ.

ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲬᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲘᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲠᲘᲜᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲔᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲡᲐᲖᲘᲣᲛᲝᲓ ᲓᲐᲓᲔᲡ ᲤᲘᲪᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡᲐ...

ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲬᲐᲠᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐ თანატოლები. მოიწყო რამდენიმე დილა, გაიმართა სპორტული შეჯიბრებანი. ოქტომბრელებს სასახლის თოჯინების თეატრმა უჩვენა სპექტაკლი „ᲯᲐᲜᲓᲘᲙᲔᲚᲐ“, წარმოდგენილ იქნა ცენტრალური პიონერული თეატრის სპექტაკლი „ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲔᲚᲛᲘᲬᲧᲠᲘᲗ“ და სხვ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲗᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ ᲗᲐᲗᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ. ᲒᲐᲖᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲯᲐᲜᲓᲘᲙᲔᲚᲐ“, ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲔᲚᲛᲘᲬᲧᲠᲘᲗ“ და სხვ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲖᲔ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲘᲐᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘ, ᲛᲝᲛᲓᲘᲐᲜ ᲜᲝᲠᲩᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲓᲔᲙᲚᲐᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ. ᲛᲝᲪᲣᲙᲕᲐᲕᲔᲑᲘ, ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ... ᲠᲐ ᲤᲔᲠᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲐ, ᲠᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲐ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲔᲜᲐᲮᲐᲗ Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲖᲔ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ!

ᲓᲦᲔᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲐ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ. ᲣᲞᲐᲢᲐᲯᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲯᲠᲔᲑᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲔᲚᲘᲡᲚᲐᲛᲐ ᲣᲜᲔᲑᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲐ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲔᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲡᲐᲖᲘᲣᲛᲝᲓ ᲓᲐᲓᲔᲡ ᲤᲘᲪᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡᲐ...

ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲬᲐᲠᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐ თანატოლები. მოიწყო რამდენიმე დილა, გაიმართა სპორტული შეჯიბრებანი. ოქტომბრელებს სასახლის თოჯინების თეატრმა უჩვენა სპექტაკლი „ᲯᲐᲜᲓᲘᲙᲔᲚᲐ“, წარმოდგენილ იქნა ცენტრალური პიონერული თეატრის სპექტაკლი „ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲔᲚᲛᲘᲬᲧᲠᲘᲗ“ და სხვ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲗᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ ᲗᲐᲗᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ. ᲒᲐᲖᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲯᲐᲜᲓᲘᲙᲔᲚᲐ“, ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲔᲚᲛᲘᲬᲧᲠᲘᲗ“ და სხვ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲗᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ ᲗᲐᲗᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ. ᲒᲐᲖᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲣᲩᲕᲔᲜᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲯᲐᲜᲓᲘᲙᲔᲚᲐ“, ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ „ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲔᲚᲛᲘᲬᲧᲠᲘᲗ“ და სხვ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ